პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 248 (3225) 24 1966 წ. დეკემბერი, შაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 23-ე წელი



ს უ რ ა თ ზ ე ალბეჭდილია სსრ კავშირისა და იუგოსლავიის ხელბურთელთა ამ დღეებში თბილისში გამართული მატჩის ერთ-ერთი მომენტი. იუგოსლაველი პოკრაიაცი (№ 10) ცდილობს შეაჩეროს ექსეულიძის გარღვევა, პოკრაიაცმა ეს ვერ მოახერხა, მაგრამ ბოლო მომენტში იუგოსლაველთა მეკარემ ტომაშიჩმა იმარჯვა და ექსეულიძის მიერ ძლიერად ნატყორცნი ბურთი მოიგერია.

ფოტო ა. საპკოვისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩვენი მიზანი სხვა იყო...

დამთავრდა ხელბურთელთა თბილისის საერთაშორისო ტურნირი. როგორც ვიუწყებოდით, ბოლო ტურში საქართველოს ნაკრები დამარცხდა უნგრეთის გუნდთან — 15:26 (6:12), სსრ კავშირის ხელბურთელებმა კი გაიმარჯვეს იუგოსლაველებთან — 21:20 (9:10). უნდა აღინიშნოს, რომ ამ დღეს წინა შეხვედრებთან შედარებით, საბჭოთა გუნდი გაცილებით უკეთესად თამაშობდა.

ბოლო დღის მატჩებში სასტარტო შვიდეულები ასეთი იყო:

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო — ხუციშვილი, ანთაძე (გაიტანა 1 გოლი), ბაგრატიონი (1), კარტოზია, ზარდალიშვილი (4), კოპალეიშვილი (3), ბუნაძე (2). ითამაშეს, აგრეთვე, რუხაძემ, სხიერელმა, გაზდელიანმა (1), ზაქარიაძემ (1), კიკაბიძემ და ხინჩიკაშვილმა (2). ზარდალიშვილმა ვერ გამოიყენა 2 შვიდმეტრიანი საჯარიმო, კოპალეიშვილმა და ზაქარიაძემ კი — თითო.

უ ნ გ რ ე თ ი — ტიმარი, ფენიო, მაროში (4), კლაინი (3), კალო (4), ნადი (1), სკოუმოლი (1). ითამაშეს, აგრეთვე, გარკამ, ადორიანმა (2), ტორნოცკიმ (1), სიმომ (5) და კოხმა (5).

ს ს რ კ ა ვ შ ი რ ი — ცაპენკო, კლიმოვი (4), შევჩენკო (1), ველდრე (1), ცერცვაძე (6), სოლომკო (2), ზელენოვი (4). ითამაშეს, აგრეთვე, ფხაკაძემ, ექსეულიძემ, ზღორენკომ (3) და ჟურავლიოვმა. თითო შვიდმეტრიანი საჯარიმო ვერ გამოიყენეს კლიმოვმა და ცერცვაძემ.

ი უ გ ო ს ლ ა ვ ი ა — ტომაშიჩი, პრიბანიჩი, ჯურანეცი (1), კარაჯა, ვიჩანი (2), ხორვატი (3), მილკოვიჩი (4). ითამაშეს, აგრეთვე, კოსტიჩმა, იჯაკოვიჩმა (1), პოკრაიაცმა (4), ურემოვიჩმა (2) და კოპრივიცამ (3).

საბოლოოდ ადგილები ასე განაწილდა: I. უნგრეთი (6 ქულა, ბურთების შეფარდება 64:47), II. იუგოსლავია (2 ქულა, 64:62), III. სსრ კავშირი (2 ქულა, 52:54), IV. საქართველო (2 ქულა, 52:69). უნგრეთის ნაკრებმა მოიპოვა გაზეთ „ზარია ვოსტოკას" გარდამავალი პრიზი. ტურნირის საუკეთესო ბომბარდირია თბილისელი ჯ. ცერცვაძე, რომელმაც 18 გოლი გაიტანა.

ტურნირის დამთავრების შემდეგ ვესაუბრეთ სსრ კავშირის ნაკრების უფროს მწვრთნელს გ. შარაშიძეს. მან თქვა:

— ერევანში ჩვენი ხელბურთელები კარგად გამოვიდნენ, თბილისში კი უფერულად ითამაშეს. ამის მიზეზი ის გახლავთ, რომ საბჭოთა ნაკრების ძირითადი შვიდეულის მოთამაშეები დაიღალნენ, ხოლო ლებედევი, კლიმოვი და მაზური დაშავდნენ. ამიტომ თბილისში ძირითადად დუბლიორები დავტვირთეთ. ერთი სიტყვით, საბოლოოდ ვამოწმებდით გუნდის წევრთა უნარს.

მსოფლიო ჩემპიონატის თამაშების ციკლი ასეთია: პირველ ეტაპზე 3 მატჩი გაიმართება, შემდეგ კი შეხვედრები დღეგამოშვებით მოეწყობა. ბოლო საერთაშორისო ტურნირები ჩვენც სამ ციკლად ჩავატარეთ: კლუჟში (რუმინეთი), ერევანსა და თბილისში. პირველ ორ ციკლს ნაკრების ხელბურთელებმა კარგად გაართვეს თავი, მესამე ეტაპზე კი მოდუნდნენ. ჩანს, დასვენება სჭირდებათ. ჩემპიონატამდე 20 დღე დარჩა. პირველ ათ დღეს გუნდს შევასვენებთ, მერე კი რამდენიმე საკონტროლო შეხვედრას გავმართავთ უშუალოდ ჩემპიონატის წინ. ნაკრებში ახლა 17 კაცია, შვეციაში კი მათგან 15 წავა. გუნდის საბოლოო შემადგენლობას ახლა ვადგენთ. რაც შეეხება თბილისელებს — აბაიშვილს, ცერცვაძეს, ფხაკაძეს და ექსეულიძეს, მათ შვეციის საგზურები ჯიბეში უდევთ. მსოფლიო პირველობის თამაშებში 15 ხელბურთელიდან ყოველ შეხვედრაში თერთმეტის გამოყვანის უფლება გვაქვს.

ორიოდე სიტყვა იმ აზრის თაობაზე, რაც პრესაში გამოითქვა. „სოვეტსკი სპორტის" კორესპონდენტმა დ. რიჟკოვმა მეტად მკაცრად განსაჯა ჩვენი გუნდის გამოსვლები ერევანსა და თბილისში. საკვირველია ისიც, რომ კორესპონდენტი იზიარებს კაუნასელი მწვრთნელის ვ. კონტვაინისის აზრს, თითქოს გერმანელ ხელბურთელებს გოლები 16-17 მეტრიდან გაჰქონდეთ (!).

ბოლო საერთაშორისო ტურნირებში მონაწილეობისას ძალებს ვამოწმებდით და მაინცდამაინც ყოველ მატჩში გამარჯვება სულაც არ გვქონდა მიზნად. ჩვენ ერთგვარ ექსპერიმენტებს ვატარებდით, დასკვნები გამოვიტანეთ და საბოლოო სიტყვას მსოფლიო ჩემპიონატში ვიტყვით.

ჯ. ენუქიძე.



ბაკურიანში თოვლი მოვიდა. თეთრად გადაიპენტა შემოგარენი, ბილიკები, პარკი, ორღობე...

პირველი სტუმრები გაუჩნდა სათხილამურო ბაზებს, აფრიალდა პირველი შეჯიბრების ალამი, ახმაურდა მზიური ველი...

იქნებ ეს გოგონები წლეულს პირველადაც ჩამოვიდნენ აქ, პირველად გაიხარეს ვერცხლის ფანტელებით და ბაკურიანის მცხუნვარე მზით, კვალდაუმჩნეველს რომ არ გამოგიშვებს. ჩამოვიდნენ, ალიონზე წამოცვივდნენ და მხარზე თხილამურით ჭრაჭუნა თოვლს დაადგნენ...

ნეტავ, საით არის კოხტაგორა?

ფოტოეტიუდი თ. ფურცხვანიძისა.

## პირველი საკონტინენტთაშორისო...

**რომი, 22 დეკემბერი.** კალათბურთელთა პირველ საკონტინენტთაშორისო ტურნირში, რომელიც აქ იანვრის პირველ რიცხვებში გაიმართება, მონაწილეობას მიიღებს 4 გუნდი: 2 ევროპიდან და 2 ამერიკის კონტინენტიდან.

მსოფლიოს უძლიერესი საკლუბო კოლექტივის სახელისთვის იბრძოლებენ: იტალიის „სიმენტალი", ჩეხოსლოვაკიის „სპარტაკი", ბრაზილიის „კორინტიანსი" და ამერიკის შეერთებული შტატების „ვინგფუტსი". ესაა ოგაიოს შტატის პატარა ქალაქ აკრონის გუნდი. ამერიკელები, რომელთა საშუალო სიმაღლე 199 სანტიმეტრია (გუნდის ყველაზე მაღალი მოთამაშე მაკ-კოი 216 სმ სიმაღლისაა), უკვე წამოვიდნენ რომში.

◆ **ოტავა, 23 დეკემბერი.** კანადაში თავიანთი ტურნე დაამთავრეს უძლიერესმა საბჭოთა ტანმოვარჯიშე ქალებმა და ვაჟებმა. მათ შესანიშნავი ოსტატობა უჩვენეს ვანკუვერის, ვიქტორიის, ედმონტონის, ოტავის, ტორონტოსა და სხვა ქალაქების სპორტის მოყვარულებს.

◆ **ბ რ ა ტ ი ს ლ ა ვ ა, 23 დეკემბერი.** აქ გაიმართა ხელბურთელ ქალთა შორის ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების მეოთხედფინალური ეტაპის კენჭისყრა. კაუნასის „ჟალგირისის" სპორტსმენები შეხვდებიან ბუდაპეშტის „სპარტაკუსს". მეოთხედფინალში „ჟალგირისი" გავიდა შესარჩევ თამაშებში როსტოკის (გდრ) „ემპორის" დამარცხების წყალობით. პირველი შეხვედრა შინ კაუნასელებმა მოიგეს ანგარიშით 9:8, სტუმრობისას კი ფრედ ითამაშეს — 6:6. მეოთხედფინალური მატჩები მოეწყობა 15 თებერვლამდე.

◆ **ბეირუთი, 23 დეკემბერი.** სირიაში ამხანაგური მატჩების ჩატარების შემდეგ სსრ კავშირის ოლიმპიური ნაკრების ფეხბურთელები ლიბანში ჩავიდნენ და გუშინ აქ ამ ქვეყნის კლუბების ნაკრები დაამარცხეს — 10:0.

## ერთბაშად სამმა...

**აშხაბადი, 23 დეკემბერი.** გუშინ აქ დამთავრდა ძალოსანთა საკავშირო გუნდური ჩემპიონატი. მიუხედავად ოლიმპიური ჩემპიონის ვ. გოლოვანოვის ჩაფლავებისა (ქვემძიმე წონის ამ ათლეტმა სამჭიდის ბოლო მოძრაობაში — აკვრაში ვერ დაძლია საწყისი წონა — 180 კგ, 0 მიიღო და გუნდი 18 ქულით დააჯარიმა), რსფსრ-ს ნაკრებმა I ადგილი დაიკავა. II ადგილზეა უკრაინის გუნდი, ხოლო III—მოსკოვისა.

ქვემძიმე წონაში ყველას აჯობა ა. პრინცმა (ლიტვა), რომელმაც 465 კგ მოაგროვა.

მძიმე წონაში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: 1. ნ. მიროშენკო (მოსკოვი) — 490 კგ (170+142,5+177,5), 2. ი. იაბლონოვსკი (რსფსრ) — 475 კგ, 3. ი. კრაშენინიკოვი (რსფსრ) — 472,5.

ზემძიმე წონაში ერთბაშად სამმა ათლეტმა გადააბიჯა 500-კილოგრამიან ზღვარს. ესენი არიან: ვ. ანდრეევი (რსფსრ) — 520 კგ (170+152,5+197,5), გ. დიაჩენკო (უკრაინა)—512,5 (165+145+202,5) და გ. რიაბოკონი (ბელორუსია) — 510 (170+150+190).

[illegible]

# ჩვენი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შაან-კაის იერიში

**მთამსვლელს**, რომელიც შაან-კაის არ იცნობს, ამ მწვერვალზე საუბრისას „შტურმი" რომ უხსენო, ალბათ, გაეღიმება. რომელ შტურმზე შეიძლება ლაპარაკი, როცა მთის სიმაღლე 900 მეტრსაც არ აღწევს? მწვერვალისკენ მშვენიერ ბილიკს შეიძლება გაჰყვე, ალუპკელი მოსწავლეები გაკვეთილებიდან იქ იპარებიან ყვავილების საკრეფად.

ყირიმის შაან-კაი ცნობილი გახდა სამხრეთული კედლით, რომელიც თავის მხრივ 30-მეტრიანი წვერითაა საყურადღებო. ამ 30 მეტრზე ერთი ბზარიც არ არის და კლდეზე სოლის დამაგრება შეუძლებელია. მკვრივი კირქვა სწრაფად ცვეთს შლამბურების გვირგვინას, რომლითაც მთამსვლელები ხვრელს აკეთებენ სოლებისთვის.

კლდეზე ცოცვის ცნობილი ოსტატები — სსრ კავშირის მრავალგზის ჩემპიონი ო. კოსმაჩოვი, ვ. ტიმოხინი, ი. პარხომენკო და ვ. სუხარევი დიდხანს უშედეგოდ უტევდნენ შაან-კაის. საკმარისია ითქვას, რომ ასვლის რეკორდი სულ რაღაც 90 მეტრს უდრიდა. იგი თითქმის 2 წლის წინათ დაამყარეს სიმფეროპოლელმა ალპინისტებმა ო. გრიპმა და სსრ კავშირის ჩემპიონმა ვ. გონჩაროვმა. ამას თავის მიზეზი ჰქონდა: ფიზიკურ სირთულეს ემატებოდა ისიც, რომ ასვლის პირველი წუთებიდან ბოლომდე ალპინისტები კლდეზე დაკიდებული უნდა ყოფილიყვნენ. ალბათ ამიტომ იყო, — როგორც თავად ამბობენ, მთამსვლელები მესამე დღეს „სიმაღლეს ვერ გრძნობდნენ", ეჩვენებოდათ, რომ კედელი გადმოხრილი კი არ იყო, ვერტიკალურად იდგა, მსუბუქი კიბეები და თოკები კი „განზე" ეკიდა. ნათელი იყო, საგანგებო აღჭურვილობის გარეშე იერიშს შედეგი არ მოჰყვებოდა. მალე ხელმეორე ასვლა უნდა განხორციელებულიყო. შლამბურული სოლებისა და მსუბუქი კიბეების დამზადებას, რაც ალპინისტებისთვის ერთადერთი „თავშესაფარი" უნდა ყოფილიყო რამდენიმე დღის განმავლობაში, თვე მაინც სჭირდებოდა. და აი, დადგა დღე, როცა იალტელმა ალპინისტებმა — უკრაინის ჩემპიონმა კლდეზე ცოცვაში ვ. პავლოტოსმა, რესპუბლიკურ პირველობათა პრიზიორებმა მ. რეზნიჩენკომ და ი. განჩევმა დაიწყეს შაან-კაიზე ასვლა. ზუსტად ერთი კვირა გაატარეს მათ ციცაბო კლდეზე, დღეში 30-40 მეტრს ძლევდნენ. წინასწარ დამუშავებული მოძრაობის სქემა წარმატების საწინდარი გამოდგა: სამეულიდან ყველაზე მაღლა მყოფი კიდულ მოედანზე საქმიანობდა, შლამბურულ სოლებს კლდეში ასობდა, ერთი მთამსვლელი შუაში იდგა, ერთი — ქვევით. ისინი პირველს ორი თოკისგან გაკეთებულ ჰამაკით იცავდნენ.

მთავარი ხიფათი: ზოგან კლდის ზედა ფენა თევზის ქერცლივით იშლებოდა და სოლთან ერთად ცვიოდა. მაგრამ ალპინისტები ამ „ვერაგ" ადგილებს გვერდს უვლიდნენ.

ერთ საღამოს, როცა ბიჭებმა კლდეზე მოიწყინეს, ბანაკში კონცერტი გამართეს ამსვლელთა შეკვეთით. ისე მღეროდნენ, რომ მაღლა მყოფთაც გაეგონათ. მართალია, მომღერლებიდან დიდებული ხმით ვერავინ დაიტრაბახებდა, მაგრამ მთამსვლელებმა მარტოობის შიში დაძლიეს. ამ კონცერტის შემდეგ კლდეზე მცოცავებმა გაორკეცებული ძალღონით განაგრძეს ასვლა და მალე შაან-კაის მწვერვალს თავს მოექცნენ. ასე ჩაიწერა საბჭოთა კლდეზე ცოცვის ისტორიაში კიდევ ერთი შესანიშნავი ფურცელი.

**გ. ზელენინი.**



ჰააგა. „უორლდ პრეს ფოტოს" II საერთაშორისო ფოტოგამოფენაზე წარმოდგენილი იყო საკდეპის ფოტოკორესპონდენტის ვ. უნ და-სინის „თარჯრბენი". საუკეთესო მხატვრულ ფოტოსურათებში ამ ნამუშევარს მიეკუთვნა მეორე პრემია.

## ტელეტაიპის ლენტიდან

✦ პიატიგორსკი, 21 დეკემბერი. მოინათლა იალბუზისპირეთის კიდევ ერთი მწვერვალი (3800 მ.): ამიერიდან იგი მოსკოვის სახელს ატარებს. მწვერვალი დაიპყრეს პიატიგორსკის „ტრუდის" მთამსვლელებმა, რომელთაც ძნელ მეტეოროლოგიურ პირობებში მოუხდათ ლაშქრობა. ისინი 7 საათის განმავლობაში უტევდნენ სიმაღლეს და ეს გამარჯვება მიუძღვნეს მოსკოვთან გერმანელ დამპყრობთა განადგურების 25 წლისთავს.

✦ **სან-ხუანი**, 21 დეკემბერი. **მჩატე წონის პუერტორიკოელმა ძალოსანმა ფერნანდო ბაეზმა აჰიმა 120 კგ და დაიბრუნა მსოფლიოს რეკორდსმენის ტიტული, რომელიც მას ირანელმა მოჰამედ ნასირიმ ჩამოართვა (ირანელის შედეგი 118 კგ იყო).**

✦ **ედმონტონი, 22 დეკემბერი.** კანადაში სტუმრად მყოფმა სსრ კავშირის ჰოკეისტთა II ნაკრებმა ზედიზედ სამი წაგების შემდეგ, როგორც იქნა, იმარჯვა. აქ მან დაამარცხა „ედმონტონის ვარსკვლავები" — 5:2.

✦ *იაუნდე, 22 დეკემბერი. ალმა-ათის „კაირატის" ფეხბურთელებმა კამერუნის დედაქალაქში დაამარცხეს აფრიკის ამ რესპუბლიკის ნაკრები — 2:1. შეხვედრა თანაბარ ბრძოლაში მიმდინარეობდა და მხოლოდ 71-ე წუთზე სტუმრების თავდამსხმელმა ვორონჩიხინმა გაიტანა გადამწყვეტი ბურთი.*

✦ **ოსლო, 22 დეკემბერი.** ნორვეგიის ოლიმპიურმა კომიტეტმა ლატარიის ჩატარება გადაწყვიტა. შემოსული თანხა მოხმარდება ამ ქვეყნის სპორტსმენთა სამზადისს გრენობლისა და მეხიკოს ოლიმპიური თამაშებისთვის. კომიტეტი იმედოვნებს, რომ შემოსავალი დაახლოებით 1 მილიონ 100 ათასი კრონი იქნება. ლატარიის მთავარი მოგებაა 150 მომცრო ტელევიზორი.

✦ **ლენინგრადი**, 22 დეკემბერი. **ადგილობრივი უნივერსიტეტის I კურსის სტუდენტი, 17 წლის ნატაშა კუჩინსკაია აღიარებულ იქნა ამ ქალაქის წლევანდელი სეზონის საუკეთესო სპორტსმენად. მან დამაჯერებლად დაიკავა I ადგილი სპორტულ ჟურნალისტთა, რადიოსა და ტელევიზიის მუშაკთა ტრადიციულ გამოკითხვაში.**

✦ პრაღა, 22 დეკემბერი. ჟურნალ „სტადიონის" ტრადიციულ ანკეტაში ქვეყნის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარებულია პრაღის „დუკლას" კაპიტანი, 35 წლის იოზეფ მასოპუსტი. ამ ექსტრა-კლასის ფეხბურთელმა ჩეხოსლოვაკიის ეროვნული ნაკრების შემადგენლობაში 50 მატჩი ჩაატარა.

✦ **ნიუ-იორკი, 22 დეკემბერი.** ამერიკის შეერთებული შტატების უძლიერეს ჩოგბურთელად წლეულს მესამედ დაასახელეს დენის რალსტონი. მაგრამ, როგორც ჩანს, ამერიკის სპორტის მოყვარულები თავიანთ კერპს გაისად დიდ საერთაშორისო ტურნირებში ვეღარ ნახავენ. პროფესიული ჩოგბურთის მესვეურებმა იგი თავიანთ რიგებში გადაიბირეს.

## პარაშუტითა და დაშნით

*ხარის რქები როდი ყოფილა ცნობილი ესპანელი მატადორის ლუის რიოსის ბედისწერა, თუმცა მისი ცხოვრება მაინც კორიდასთან იყო დაკავშირებული. რიოსმა სახელი იმით მოიხვეჭა, რომ „ციდან ვარდებოდა" ხარების ბრძოლის ასპარეზზე. ტორეადორის კოსტუმში გამოწყობილი რიოსი პარაშუტით ხტებოდა მსუბუქი თვითმფრინავიდან და მაშინვე ებმებოდა სისხლისმღვრელ ორთაბრძოლაში.*

*მაგრამ ამჯერად ხარებთან ბრძოლის დროს ერთ-ერთ სანაპირო ქალაქში რიოსს ბედმა უმტყუნა. ძლიერმა ქარმა აიტაცა ტორეადორის პარაშუტი და ზღვისკენ გააქანა. რიოსი დაიხრჩო ნაპირიდან ნახევარ კილომეტრზე, სანამ მას საშველად წასული რამდენიმე კატარღა მიუსწრებდა.*

მასობრივი სპორტის ფურცელი

# ქარხნის სნაიპერთა კლ...

**ამას წინათ** დავეხწარი მოსკოვის პირველობას ტყვიის სროლაში. ცეცხლის ხაზზე სპორტსმენები ერთმანეთს ცვლიდნენ. მსაჯებმა რომ შედეგები გამოაცხადეს, შევნიშნე — ხშირად იმეორებდნენ ლიხაჩოვის სახელობის ავტოქარხნის სნაიპერთა სახელს: ისინი თითქმის ყველა ვარჯიშში ლიდერობდნენ.

ქარხნის მსროლელთა ოსტატობამ დამაინტერესა და ვესტუმრე ავტოგიგანტის ტირს ქარხნის კულტურის სასახლეში. მწვრთნელთა ოთახში შევხვდი ტანდაბალ კაცს, რომელსაც მკერდზე ოქროს ვარსკვლავი უკიაფებდა. ქარხნის სასროლო კლუბის უფროსმა, საბჭოთა კავშირის გმირმა მ. ოვარიოვმა სიამოვნებით მიამბო სნაიპერთა საქმიანობაზე.

კლუბს 7 წლის ისტორია აქვს. მსროლელთა გუნდი ახლა ქარხნის ყველა საამქროსა და განყოფილებაშია შექმნილი. ხშირად იმართება შეჯიბრებები. ამასთან, ქარხნის ტურნირში გამოსვლის უფლება აქვთ მხოლოდ იმ მსროლელებს, რომლებიც შეასრულებენ რთულ ვარჯიშებს საქალაქო ჩემპიონატის პროგრამიდან.

ავტოქარხნელი სნაიპერები პირველობენ არა მარტო თავიანთ — პროლეტარულ რაიონში, არამედ დედაქალაქშიც. მათი საუკეთესო მსროლელები სსრ კავშირისა და დოსააფის ნაკრებ გუნდებში არიან შეყვანილი. სპორტის ოსტატი ინჟინერი ვ. ლიაშენკო სსრ კავშირის ჩემპიონატის პრიზიორია მცირეკალიბრიანი შაშხანით სროლაში. იგი დოსააფის ჩემპიონი და საერ... რისო შეხვედრების წილეცაა. დიდი ს... გზას დაადგა ამ... დელი მოსწავლე, ზეინკალი ე. დო...

წლიდან წლამდ... დება ქარხნის რ... ბი. იმავე ლი...

# 2:0 და... წაგება

**ფეხბურთი**

ოთხშაბათს მადრიდის ახალი სტადიონის „მანსანარესის" მინდორზე გაიმართა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების ზო... მერვედფინალური თამაში: მესამე, ...მატებით მატჩში ერთმანეთს შეხვდა ადგილობრივი „ატლეტიკო" და იუგოსლავიის ჩემპიონი „ვოივოდინა" (ნოვი სადი).

„ატლეტიკო": როდრი, რივილია, ...რიფა, კალიეხა, გარატე, გლარია, უფა..., ურტიაგა, მენდოსა, ადელარდო, ...ლარი.

„ვოივოდინა": პანტელიჩი, ალუ...ჩი, ბრზიჩი, რადოვიჩი, ნეშტიცკი, ...ერეში, ტრივიჩი, სავიჩი, ტაკაჩი, ...ვიჩი, პუშიბრკი.

...გულშემატკივართა აქტიური მხარდა...ჭერით მადრიდელებმა თავიდანვე სა...ფათოდ შეუტიეს სტუმრებს და უკვე ...3 წუთზე ადელარდომ ანგარიში ...ხსნა — 1:0. ამის შემდეგ 2 წუთიც ...არ იყო გასული, როცა კოლარის საჯარიმო დარტყმის შემდეგ ბურთი შეეხო რადოვიჩს, მიმართულება შეიცვალა და მეორედ აღმოჩნდა „ვოივოდინას" კარში.

ესპანელთა უპირატესობა აშკარა იყო პირველ 15 წუთს, შემდეგ კი თამაში გათანაბრდა. 25-ე წუთზე იუგოსლავიელთა ცენტრალურმა თავდამსხმელმა ტაკაჩმა საჯარიმო დარტყმით გაქვითა ერთი გოლი — 1:2.

თამაში უაღრესად შეუპოვარი გახდა, ორივე მხარე ხშირად უხეშობდა.

მეორე ტაიმის დასაწყისში იუგოსლაველებმა დააშავეს ადელარდო და ურტიაგა. მართალია, ისინი მინდორზე დარჩნენ, მაგრამ მთელი ძალით ვეღარ მოქმედებდნენ. და აი, უპირატესობა „ვოივოდინას" მხარეს გადავიდა. ეს რეალურადაც გამოიხატა: 68-ე წუთზე მეკარე როდრის პასიური თამაშის წყალობით რადოვიჩმა ანგარიში გაათანაბრა — 2:2.

მინდორზე საუკეთესო იყო სტუმრების კაპიტანი ტაკაჩი, რომლის შეკავება ესპანელებმა ვერ შეძლეს. ამ იუგოსლაველმა ისეთი ოსტატობა აჩვენა, რომ მადრიდელი გულშემატკივრების ტაშიც კი დაიმსახურა. ეს იყო ტაკაჩის ბოლო მატჩი „ვოივოდინაში", ვინაიდან იგი მომავალი კვირიდან საფრანგეთის „რენში" ითამაშებს. მეორე ტაიმის დამთავრებას 15-20 წუთი აკლდა, ირლანდიელმა არბიტრმა ონეილმა უხეშობისთვის მინდვრიდან გააძევა ორი იუგოსლაველი ფეხბურთელი. 90 წუთი ისე ამოიწურა, რომ ანგარიში არ შეცვლილა.

დამატებით 30 წუთში ესპანელთა ძალზე სახიფათო იერიშები ამაო გამოდგა. სამაგიეროდ, 102-ე წუთზე ტაკაჩმა „ფენომენალური რეიდი" (ასე დაწერა ესპანეთის პრესამ) გოლით დააგვირგვინა — 3:2.

ამრიგად, ნოვი სადის „ვოივოდინა" მეოთხედფინალში გავიდა, სადაც შეხვდება გლაზგოს „სელტიკს".

(საქ. ინფ.).

# გაზრობათა თასზე

...ვენტი, 22 დეკემბერი. საპასუხო მერვედფინალურ მატჩში გუშინ შოტ...ლანდიის „კილმარნოკმა" დაამარცხა ადგილობრივი „ლა განტუაზი" (2:1) და მეოთხედფინალში გავიდა, ვინაიდან პირველი შეხვედრაც მოგებული ჰქონდა (1:0). საინტერესოა, რომ ამ უაღრესად უხეშ თამაშში არბიტრმა მინდვრიდან გააძევა 3 ფეხბურთელი: 2 ბელგიელი და 1 შოტლანდიელი. მატჩის 90 წუთი დამთავრდა ანგარიშით 1:0 მასპინძელთა სასარგებლოდ. ამიტომ, საბოლოო გამარჯვებულის გამოსავლენად, დაინიშნა დამატებითი 30 წუთი, რომლის განმავლობაში შოტლანდიელებმა მაკ-ინელიმ და მაკლინმა ორჯერ აიღეს „ლა განტუაზის" კარი.

ლაიპციგი, 22 დეკემბერი. მსოფლიოს ერთ-ერთმა უძლიერესმა გუნდმა — ლისაბონის „ბენფიკამ" გუშინ გაზრობათა თასის გათამაშების პირველი მერვედფინალური მატჩი წააგო ადგილობრივ „ლოკომოტივთან" — 1:3.

გერმანელებმა 75 ათას გულშემატკივარს ფეხბურთის შესანიშნავი კონცერტი უჩვენეს მიუხედავად იმისა, რომ მატჩი დათოვლილ მინდორზე მიმდინარეობდა. მაგრამ სამართლიანობა მოითხოვს აღვნიშნოთ, რომ „ბენფიკას" აკლდნენ სიმოესი და ტორესი. ეუსებიომ, კოლუნამ, აუგუსტომ, 19 წლის ნელსონმა და მათმა ამხანაგებმა კი ვერაფერი გააწყეს მასპინძლებთან.

შეხვედრის შემდეგ პორტუგალიელთა მწვრთნელმა ფ. რიერამ განაცხადა: „უკეთესი შემადგენლობითაც კი, ალბათ, ვერ მოვუგებდით ლაიპციგელ ფეხბურთელებს. „ლოკომოტივი" ბრწყინვალე გუნდია".

(საქ. ინფ.).

# ...ბურთი კალათშია

გაიმართა რამდენიმე მატჩი კალათბურთში ევრო...ის ქვეყნების ჩემპიონთა თას...ზე ვაჟთა და ქალთა გუნდებს ...ორის.

**ჰელსინკი.** თასის მფლობე...ლი — მილანის „სიმენტალი" შეხვდა ფინეთის ჩემპიონს „...კონტორიტიოს" და გაიმარჯვა — 90:80. ამ გუნდების პირველი მატჩიც მილანელებმა მოიგე... „სიმენტალი" გათამაშების შემდგომ ეტაპში გავიდა.

**პრაღა.** ადგილობრივი „სლავია" და რუმინეთის „სტიაუა" ორმა მატჩმა უძლიერესი ვერ გამოავლინა. დაინიშნა მესამე, დამატებითი შეხვედრა, რომელიც მოიგეს ჩეხოსლოვაკიელმა ვაჟებმა — 70:61.

**პარიზი.** გათამაშების შემდეგ ეტაპში მონაწილეობის უფლება მოიპოვა საფრანგეთის ჩემპიონმა „ვილერბონმაც", რომელმაც მეორე მატჩი მოუგო საბერძნეთის აეკ-ს — 69:48.

**კრაკოვი.** პოლონეთის ჩემპიონმა — ადგილობრივი „ვისლა" ქალთა გუნდმა დაამარცხა ...ციის „ბლაკებერგი"—79:45.

PRZEGLAD SPORTOWY

Sport

SPORTSKE NOVOSTI

Népsport

Старт Спорт

## უძლიერესთა ათეული

ბულგარეთის ჭიდაობის ფედერაციამ გამოაქვეყნა 10 უძლიერესი ათლეტის სია როგორც თავისუფალ, ისე კლასიკურ ჭიდაობაში. კლასიფიკაციას საფუძვლად დაედო ბულგარელი მოჭიდავეების შედეგები წლევანდელ საერთაშორისო შეჯიბრებებსა და ჩემპიონატებში.

აი, უძლიერესები:

**თავისუფალი ჭიდაობა.** 1. პ. გარჯევი, 2. ს. მუსტაფოვი, 3. ი. პატრიკოვი, 4. ლ. ახმედოვი, 5. ე. ტოდოროვი, 6. ი. შავოვი, 7. ვ. კოსტოვი, 8. ე. ვილჩევი, 9. ს. კოლევი, 10. ს. ბიმბალოვი.

**კლასიკური ჭიდაობა.** 1. ბ. რადევი, 2. ა. კერეზოვი, 3. პ. კრუმოვი, 4. ს. კალჩევი, 5. რ. კასაბოვი, 6. ს. პეტროვი, 7. ვ. ცინცაროვი, 8. პ. კიროვი, 9. ბ. ბუტრაკოვი, 10. დ. რაიჩევი.

# კვლავ პარადოქსი

როგორც ვიუწყებოდით, წლეულს ამერიკის შეერთებული შტატების № 1 სპორტსმენად აღიარეს მოჰამედ ალი (კასიუს კლეი). ამას წინათ კი ცნობილი გახდა, რომ პროფესიონალ მოკრივეთა მსოფლიო ასოციაციას უძლიერეს მოკრივედ მიაჩნია ერნი ტერელი (სხვათა შორის, ამავე ასოციაციის მიერ იგი დღემდე მსოფლიო ჩემპიონადაა გამოცხადებული მძიმე წონის მოკრივეთა შორის).

ასეთი პარადოქსები პროფესიულ კრივში არც თუ იშვიათი მოვლენაა. ერთგვარი წესრიგის დამყარების მიზნით გადაწყდა, რომ მ. ალი და ე. ტერელი ერთმანეთს შეხვდებიან 1967 წლის 6 თებერვალს ტეხასის შტატის ერთ-ერთ ქალაქში. პროფესიული კრივის მესვეურთ ამ ბრძოლით მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონის ვინაობის დადგენა აქვთ გადაწყვეტილი.

# ...უზი

მცირეყალიბრიანი შაშხანით სროლაში (60 გასროლა წოლილა მდგომარეობიდან) 592 ქულა დააგროვა 600-დან. ეს შედეგი მხოლოდ 1 ქულით ჩამორჩება რსფსრ-ს რეკორდს. იმავე იარაღით სამივე მდგომარეობიდან სროლაში (სტანდარტი) ლიაშენკომ რუსეთის რეკორდი დაამყარა — 560 ქულა.

სასროლო კლუბს თავისი ტრადიციები აქვს. როცა ჭაბუკს საბჭოთა არმიაში იწვევენ, იგი ტყვიის სროლაში თანრიგოსნის ნიშნით ტოვებს ქარხანას. ლიხაჩოველთა თაოსნობით რეგულარულად ტარდება ამხანაგური შეხვედრები გორკის ავტოქარხნის მსროლელებთან. შემდეგ სხვა ავტოქარხნების სპორტსმენებთანაც გააბეს კავშირი. ახლა საკავშირო შეჯიბრებათა კალენდარში „სსრ კავშირის საავტომობილო ქარხნების მსროლელ სპორტსმენთა ტურნირიც" მოიხსენიება.

კლუბს აქვს 50-მეტრიანი ტირი, სადაც ერთდროულად 8 სპორტსმენს შეუძლია ვარჯიში. მის განკარგულებაშია საქალაქო სასროლეთი, სადაც ქარხნის სნაიპერები ეუფლებიან პისტოლეტებით სილუეტებზე სწრაფსროლის ხელოვნებას, შაშხანით სროლას „გაქცეულ ირემზე", ასრულებენ კლასიკურ სტანდარტებს.

ა. ილინი.

# ყოველი მხრიდან

### ✦ ბამბუკს სიცივის ეშინია



იგი 21 წლისაა. პარიზში ანტილის პატარა კუნძულ გვადელუპიდან ჩამოვიდა და საფრანგეთის დედაქალაქში მედიცინას ეუფლება. მძლეოსნობის მოყვარულები უკვე კარგად იცნობენ: 1963 წელს მან 100 მეტრის გარბენას 10,8 წამი მოანდომა, 200 მეტრისას კი — 22,0. ერთი წელიც არ იყო გასული, რომ ეს შედეგები გააუმჯობესა — 10,4 და 20,7. მან მოიპოვა ტოკიოს საგზური, მაგრამ იქ 200 მეტრზე რბენის ფინალში ვერ გავიდა, თუმცა ამან გული არ გაუტეხა — ევროპის ბოლო ჩემპიონატში როჟე ბამბუკი გმირი გახდა. მოიხვეჭა ოქროს 2 მედალი (200 მეტრსა და ესტაფეტაში) და „ვერცხლი" — 100-მეტრიან დისტანციაზე.

ამჟამად როჟე ბამბუკი მექსიკის ოლიმპიური თამაშებისთვის ემზადება, გაისის სეზონს ძალიან სერიოზულად უყურებს. რა უფრო აშინებს მას? ჟურნალისტებს როჟემ უთხრა:

— მე ჩემი ქვეყნის მცენარეს ვგევარ, იმ მცენარეს, რომლის სახელიდანაც წარმოიშვა ჩემი გვარი — ბამბუკს. ბამბუკს ხომ ყველაზე უფრო სიცივის ეშინია და მეც ასე ვარ. ტოკიოში იმიტომ დავმარცხდი, რომ სტარტის დღე ნისლიანი იყო. შარშანდელი სეზონი ჩემთვის მეტისმეტად უხეირო გამოდგა იმიტომ, რომ ზამთარი ჩემს სამშობლოში არ გავატარე, პარიზში დავრჩი. იქ კი ვარჯიში ვერ შევძელი სიცივის გამო. სიცივე ბოჭავს ჩემს კუნთებს, რბენა დახურულ შენობაშიც კი არ შემიძლია.

ევროპის ჩემპიონატში თავისუფლად შემეძლო ოქროს მესამე მედლის მოპოვება 100 მეტრზე რბენაში, მაგრამ დილით თერმომეტრს დავხედე და მაშინვე სასოწარკვეთილებამ შემიპყრო, რწმენა დავკარგე.

იმედი მაქვს, რომ მეხიკოში მაინც იქნება სითბო, შეიძლება სიცხეც იყოს. იქ, ალბათ, ერთ-ერთ დისტანციაზე ვცდი ძალას. ამიტომ გაისად ჩემი მთავარი ამოცანაა გავარკვიო სპრინტის რომელ დისტანციაზე უფრო მეტი შანსი მაქვს გამარჯვებისა. კაცმა რომ თქვას, მინდა 200 მეტრზე ავიღო სტარტი, მაგრამ შეიძლება კი ამერიკელი ...სმითის შედეგის (20,0) გაუმჯობესება? ამიტომ ბედს, ალბათ, 100 მეტრზე რბენაში ვცდი. 10,0 ჩემთვის მისაწვდომია, ეს შედეგი არაერთხელ მიჩვენებია ვარჯიშის დროს.

### ✦ სიტყვა და საქმე

დასავლეთ გერმანიის სპორტსმენთა დიდი უმრავლესობა მოითხოვს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ათლეტებთან თანასწორუფლებიანი დამოკიდებულების აღდგენას. ამასვე მოითხოვს ბევრი საერთაშორისო სპორტული ფედერაციაც. გასაკვირი არაა, რომ დასავლეთ გერმანიის სპორტული კავშირის — შპორტბუნდის პრეზიდენტი ვილი დაუმე იძულებულია შეგუების პოლიტიკას დაადგეს. ამ დღეებში მან გადაწყვიტა „საერთოგერმანული სპორტული კავშირისთვის მებრძოლის" როლი შეესრულებინა.

დაახლოებით ერთი თვის წინ დაუმემ წერილი გაუგზავნა გერმანიის სპორტულ-ტანვარჯიშულ კავშირს (გდრ), რომელშიც ამტკიცებდა: ჩვენ მოლაპარაკების მომხრე ვართო. საპასუხო წერილში კავშირის პრეზიდენტი მანფრედ ევალდი სავსებით სამართლიანად წერდა, რომ მოლაპარაკებისთვის საჭიროა შპორტბუნდის ხელმძღვანელებმა საბოლოოდ აიღონ ხელი გდრ-ის ათლეტების მიმართ დისკრიმინაციაზე, გამოვიდნენ ორი გერმანული სახელმწიფოს სპორტსმენთა ურთიერთდამოკიდებულებაში ბონის ჩარევის წინააღმდეგ.

მას შემდეგ გდრ-ში ჰერ დაუმეს კიდევ ერთი წერილი მოვიდა. შპორტბუნდის ხელმძღვანელი მოერიდა პირდაპირ პასუხს. მან უსაგნო ლაპარაკი არჩია „ორივე მხარისთვის საინტერესო პრობლემებზე".

საინტერესოა: როცა დასავლეთ გერმანიის სპორტული კავშირის პრეზიდენტი აცხადებდა, რომ მზადაა გდრ-ის სპორტის წარმომადგენლებთან „განიხილოს ყოველგვარი მტკივნეული საკითხი", დასავლეთ გერმანიის ელჩმა ავსტრალიაში, დოქტორმა ჰარტმანმა შპორტბუნდის თანხმობით წერილი გაუგზავნა ავსტრალიის თანამედროვე ხუთჭიდის ფედერაციას. იგი მოითხოვდა გდრ-ის სპორტსმენებისთვის აეკრძალათ მელბურნში გამოსვლა, თუ უარს არ იტყოდნენ თავიანთ ალამსა და სახელმწიფო ემბლემაზე. მხოლოდ ვიქტორიას შტატის პრემიერ-მინისტრის სპეციალურმა განკარგულებამ შეაკავა ფრთა ბონის ჩარევას, რასაც სანქცია მისცა თვით დაუმემ, რომელიც, ალბათ, ფიქრობს ავტორიტეტი მოიპოვოს დასავლეთ გერმანიის სპორტსმენებში და შეასრულოს ბონელი მეპატრონეების მითითებანი.

### ✦ სალეჭი რეზინის მსხვერპლნი

ცნობილმა ინგლისელმა სპორტულმა ექიმმა დოქტორმა ჯონ ო'ჰანიონმა მიმართა თავისი ქვეყნის ყველა სპორტსმენს და მოუწოდა უარი თქვან სალეჭ რეზინაზე. ო'ჰანიონის ღია წერილში, რომელიც რამდენიმე სპორტულ გაზეთში გამოქვეყნდა, სახელდობრ, ნათქვამია:

„ამერიკელებმა ჩვენს ქვეყანაში შემოიტანეს ცუდი ჩვეულება — რეზინის ღეჭვა სპორტული შეჯიბრებების დროს. აღარას ვამბობ იმაზე, რომ ეს უწესო საქციელია და მაყურებლებისა და სპორტისადმი უპატივცემულობას გამოხატავს. არა, რეზინის ღეჭვა სახიფათოა. ამ დღეებში ახალგაზრდა ინგლისელმა რეგბისტმა შეჯიბრების დროს რეზინი გადაყლაპა, ყელში გაეჩხირა და სპორტსმენმა პირდაპირ მინდორზე დაკარგა გონება. მას დროზე მიუსწრეს და სიცოცხლე დაუბრუნეს მხოლოდ ხელოვნური სუნთქვით. ბოლო 3 წლის განმავლობაში ინგლისში ორი ფეხბურთელი და ერთი მოტომრბოლელი დაიღუპა სწორედ იმიტომ, რომ სალეჭი რეზინი გადაცდათ. ეს არათუ ცუდია, არამედ სიცოცხლისთვის სახიფათო ჩვეულებაა. ამიტომ ინგლისელ სპორტსმენებს მოვუწოდებ, უარი თქვან მასზე".

# მეცნიერი და მოქალაქე



Დღეს 60 წელი უსრულდება გამოჩენილ ქართველ ფიზიოლოგს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს სერგო ნარიკაშვილს, რომლის ნაშრომები ფართოდაა ცნობილი ჩვენში და ჩვენი სამშობლოს გარეთაც. მისმა ფუნდამენტალურმა გამოკვლევებმა ნეიროფიზიოლოგიის სხვადასხვა აქტუალურ საკითხზე საყოველთაო აღიარება ჰპოვა.

გვსურს განსაკუთრებით გავუსვათ ხაზი იუბილარის ნაყოფიერ მოღვაწეობას ფიზიკური კულტურისა და სპორტის მეცნიერული საფუძვლების დამუშავებისათვის. ნარიკაშვილმა საქართველოში სათავე დაუდო ფიზიოლოგიის ახალ მიმართულებას — სპორტულ ფიზიოლოგიას. საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის დაარსების პირველი დღიდანვე ხელმძღვანელობს იგი ფიზიკური აღზრდის ფიზიოლოგიურ კანონზომიერებათა მეცნიერულ კვლევას. დიდი წარმატებით დაგვირგვინდა დაქანცულობისა და აღდგენის პრობლემების შესწავლა. ამგვარმა კვლევამ, რაც მრავალი წლის მანძილზე ხორციელდებოდა, დაადასტურა აქტიური დასვენების ამაჩქარებელი მოქმედება დაღლილი კუნთების ქმედითუნარიანობის აღდგენაზე, დასვენების ამ საშუალების კეთილი გავლენა ვარჯიშსა და შრომისუნარიანობაზე. ეს კვლევა გამოდგა ბიძგი აღნიშნული საკითხის შემდგომი შესწავლისთვის სსრ კავშირის ბევრ ლაბორატორიაში. დღეს, როგორც ცნობილია, აქტიური დასვენების მეთოდი საწარმოო ტანვარჯიშის სახით, ფართოდაა დანერგილი ჩვენი ქვეყნის მრავალ საწარმოში. ეს დიდი დამსახურებაა ს. ნარიკაშვილისაც, რომელმაც ბევრი გააკეთა ამ მეთოდის პოპულარიზაციისთვის.

ღრმა თეორიული ძიებისა და წმინდა პრაქტიკული ამოცანების დამუშავების შერწყმა — აი, პროფესორ ნარიკაშვილის შემოქმედებითი ხელწერა.

სერგო ნარიკაშვილს დიდი წვლილი მიუძღვის როგორც პედაგოგს. დღეს ბევრი მისი აღზრდილი მეცნიერ-მუშაკი ემსახურება სპორტის ფიზიოლოგიის კვლევის საქმეს. მრავალი წლის მოღვაწეობის მანძილზე ნარიკაშვილი იყო და არის მასწავლებელი და მრჩეველი ბევრი საუკეთესო სპორტსმენისა, ბევრი მწვრთნელისა, რომელთაც შორს გაუთქვეს სახელი ჩვენს რესპუბლიკას.

სახელოვანი იუბილარი მუდამ მზადაა დაგვეხმაროთ ძნელი ამოცანის გადაჭრაში, მხარში ამოგვიდგეთ. ეს დაუზარლობა, გულისხმიერება, ღრმა მეცნიერული ერუდიციაა მიზეზი, რომ მის ირგვლივ მუდამ ტრიალებს ფიზკულტურისა და სპორტის მუშაკთა ფართო წრე. თუმცა თავისუფალი დრო იშვიათად რჩება (პროფესორს, ძირითადი სამუშაოს გარდა, უთვალავი საქმე აქვს, იგი არის თავის ტვინის საერთო ფიზიოლოგიის გამომკვლევი სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე, თავის ტვინის შემსწავლელი საერთაშორისო ორგანიზაციის წევრი, ათეიზმის სახალხო უნივერსიტეტის რექტორი, რეგიონალური რედაქტორი ახალი საერთაშორისო ჟურნალისა „ფიზიოლოგია და ქცევა“, სსრ კავშირის ფიზიოლოგების ჟურნალის სარედაქციო საბჭოს წევრი და ა. შ.), პატივცემული სერგო მუდამ ახერხებს დაეხმაროს ჩვენი რესპუბლიკის ფიზკულტურულ დაწესებულებებს, რომლებიც სამეცნიერო მუშაობას ეწევიან. მაგალითად, იგი საქართველოს ფიზკულტურის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს წევრია. მისი უშუალო მონაწილეობით ახორციელებს კონტაქტს ფიზკულტურის სფეროში მომუშავე მეცნიერ-მუშაკებთან საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიოლოგიის ინსტიტუტი.

შემთხვევითი როდია, რომ ნარიკაშვილის მეცნიერულ და პედაგოგიურ მოღვაწეობაში სპორტულ პრობლემებს ესოდენ დიდი ადგილი უჭირავს. საქართველოში ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების პირველსავე პერიოდში იგი აქტიური მონაწილე იყო ფიზკულტურული მოძრაობისა, გატაცებული გახლდათ ტანვარჯიშით, ფრენბურთით, უფრო გვიან კი ჩოგბურთით. მისი მასწავლებლები იყვნენ ქართული სპორტის ფუძემდებლები გ. ნიკოლაძე და გ. ეგნატაშვილი, სპორტის დამსახურებული ოსტატი დ. ჩიკვაიძე.

სწორედ სპორტმა, დაუცხრომელმა შრომამ შეუნარჩუნა ს. ნარიკაშვილს კარგი ჯანმრთელობა და ახალგაზრდული მხნეობა. იგი ახლაც აღსავსეა შემოქმედებითი ენერგიით და საინტერესო სამერმისო გეგმები აქვს. ვუსურვოთ იუბილარს დიდი წარმატება მის შემოქმედებით მოღვაწეობაში.

**ბ. თავართქილაძე,**
საქართველოს სპორტკავშირის სამეცნიერო-მეთოდური საბჭოს თავმჯდომარე, ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი,

**ა. არუცევი,**
საქართველოს ფიზკულტურის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის აკლიმატიზაციის ლაბორატორიის გამგე.

# სპორტული კინოს ფორუმი




მოსკოვის კინოთეატრი „როსია“ ამ დღეებში უჩვეულოდაა მორთული — სპორტსაზოგადოებათა ნაირფერი ალმები, სხვადასხვა შეჯიბრების აფიშები, საერთაშორისო და საკავშირო ფესტივალების პრიზები. „სპორტული ფილმების I საკავშირო დათვალიერება“: იუწყება უზარმაზარი წარწერა.

ფესტივალი, რომელიც დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავს მიეძღვნა, საზეიმოდ გაიხსნა 20 დეკემბერს. მის პროგრამაშია 80-მდე სპორტული ფილმი — ქრონიკალურ-დოკუმენტური, სამეცნიერო-პოპულარული, სასწავლო, მხატვრული და მულტიპლიკაციური.

ფესტივალის ეკრანმა ფართოდ ასახა ჩვენი სპორტული კინემატოგრაფიის დღევანდელი დღე, ამ დარგის მუშაკთა შემოქმედებითი მისწრაფებები. სპორტული კინოს ფორუმში ჩვენი ქვეყნის 30 კინოსტუდია მონაწილეობს.

დათვალიერების პირველ დღეს მაყურებელმა ნახა 6 ფილმი, რომელთაგან განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია ახალმა კინოკომედიამ „სამეფო რეგატა“.

ფესტივალის მეორე დღეს სხვა ფილმებთან ერთად უჩვენეს ბ. კრეპსის „უშბაზე ძლიერნი“. როგორც ჩვენმა მკითხველებმა იციან, ამ სურათმა გაიმარჯვა თბილისში, სპორტული ფილმების რესპუბლიკურ დათვალიერებაში.

რა ჯილდოები დააწესა გამარჯვებულთათვის ჟიურიმ, რომელსაც ხელმძღვანელობს სპორტული კინოსა და ტელევიზიის საკავშირო ფედერაციის თავმჯდომარე, სსრ კავშირის სახალხო არტისტი ბ. ჩირკოვი?

ამ კითხვაზე ჟურნალისტებს საგანგებო პრესკონფერენციაზე უპასუხა საორგანიზაციო ბიუროს თავმჯდომარემ, მშრომელთა დეპუტატების მოსკოვის საქალაქო საბჭოს მდივანმა ა. პეგოვმა.

ჯილდოდ დაწესებულია: დიდი პრიზი საუკეთესო მხატვრული ფილმისათვის, აგრეთვე, ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები, დიპლომები საუკეთესო დოკუმენტური, სამეცნიერო-პოპულარული, სასწავლო და მულტიპლიკაციური ფილმებისთვის. ამას გარდა, პრიზითა და დიპლომით აღინიშნება საუკეთესო სპორტული კინოჟურნალიც.

მოსკოვის ფესტივალში საუკეთესოდ აღიარებულ ფილმებს გაგზავნიან სპორტული [illegible] XXIII საერთაშორისო ფესტივალზე, [illegible] ტრადიციულად გაიმართება იტალიის ქალაქ კორტინა დ'ამპეცოში 1967 წელს.

აღსანიშნავია, რომ კორტინა დ'ამპეცოში, სადაც ამგვარი ფესტივალი 1934 წლიდან მოყოლებული ყოველწლიურად იმართება, საბჭოთა კინემატოგრაფისტებმა პირველად 1963 წელს მიიღეს მონაწილეობა და დიდი გამარჯვებაც მოიპოვეს. ამის დამადასტურებელია იტალიიდან ჩამოტანილი მრავალი თასი, მედალი, დიპლომი. ჩვენმა კინომუშაკებმა სამჯერ მოიპოვეს ფესტივალის მთავარი ჯილდო — „გრან პრი“.

ფესტივალის შედეგები 24 დეკემბერს შეჯამდება. სხვათა შორის, დღეს უჩვენებენ ბ. კრეპსის მეორე ნამუშევარსაც — „დაუმთავრებელი დღიური“.

**ო. ნოზაძე.**
(ჩვენი სპეც. კორ.).
მოსკოვი.

## ფეხბურთის ქრონიკა

Ლენინგრადის „ზენიტის“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდის უფროსად და მთავარ მწვრთნელად დაინიშნა სპორტის ოსტატი ა. ალოვი, მის მოადგილეებად კი — სპორტის დამსახურებული ოსტატი ე. ელისეევი და სპორტის ოსტატი ვ. კორნეევი.

Რიგის „დაუგავას“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდის მწვრთნელად დაინიშნა უნგრეთის ნაკრების ყოფილი წევრი რუდოლფ შამლაი. „დაუგავას“ ფეხბურთელებმა უკვე ჩაატარეს პირველი საწვრთნელი ვარჯიში ახალი მწვრთნელის ხელმძღვანელობით.

## დარჩა გადამწყვეტი, ფინალური...

თბილისში, არმიის სპორტული კლუბის სტადიონზე დასასრულს უახლოვდება ვ. მარღანიას ხსოვნისადმი მიძღვნილი თასის გათამაშება ფეხბურთში ახალგაზრდულ გუნდებს შორის. უკვე გამოვლინდნენ ფინალისტები. ესენი არიან ნორჩი დინამოელისა და განათლების განყოფილების ბავშვთა საფეხბურთო სკოლის კოლექტივები.

დინამოელებმა ადვილად მოუგეს რუსთავის ფეხბურთელებს — 5:0, ხოლო საფეხბურთო სკოლის აღსაზრდელებმა დაძაბულ ბრძოლაში დაამარცხეს გლდანის სკოლა-ინტერნატის გუნდი — 2:1.

**ი. გოჩორაძე,**
საკავშირო კატეგორიის მსაჯი.

## მასპინძლებს ბადალი არ ჰყავდათ

თბილისში, სპორტკლუბ „სინათლის“ ბაზებზე, სამ დღეს მიმდინარეობდა ამიერკავკასიის რესპუბლიკებისა და უზბეკეთის გეოლოგიური სამიებო სამუშაოების პროფკავშირების I სპარტაკიადა (უზბეკეთის გუნდი უკონკურსოდ მონაწილეობდა).

სპარტაკიადის პროგრამაში იყო კალათბურთი, ფრენბურთი, ჭადრაკი და მაგიდის ჩოგბურთი. საქართველოს გუნდი ძირითადად დაკომპლექტებული იყო გეოლოგიური სამმართველოს სპორტსმენებით. განსაკუთრებით აქტიურობდნენ წარსულში ცნობილი სპორტსმენები, მოჭადრაკე ლილი გელოვანი, კალათბურთელები — სპორტის ოსტატები დ. გოძიაშვილი, გ. რუხაძე და სხვ.

შესანიშნავად იასპარეზეს მასპინძლებმა, რომელთაც ბადალი არ ჰყავდათ. II ადგილზე გავიდნენ სომხეთის წარმომადგენლები, ხოლო III — აზერბაიჯანელები.

გამარჯვებულებს გადაეცათ თასები და სამახსოვრო სიგელები.

**ვ. გოგიშვილი,**
საქართველოს გეოლოგიური სამმართველოს ფიზკულტურული კოლექტივის საბჭოს თავმჯდომარე.

## ვ მატჩი

თბილისში სამ დღეს სტუმრობდა მოსკოვის უნივერსიტეტის ხელბურთელ ქალთა გუნდი. პირველ დღეს თბილისის „განთიადელებმა“ თავის მოედანზე მიიღეს მოსკოველი ხელბურთელები. შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 9:9. მეორე დღეს მათ ბურევესტნიკელები მასპინძლობდნენ კიროვის სახელობის პარკის სტადიონზე. ამ მატჩში სტუმრების უპირატესობა თავიდანვე აშკარა იყო და მათ მოიპოვეს კიდეც დამაჯერებელი გამარჯვება — 14:4.

ბოლოს სპორტის სასახლეში „განთიადისა“ და მოსკოველთა განმეორებითი შეხვედრა გაიმართა. მათი ორთაბრძოლა ამჯერადაც ფრედ დამთავრდა — 11:11. პირველი ტაიმი მოიგეს მოსკოველებმა — 7:6. 37-ე წუთზე მასპინძლები დაწინაურდნენ — 11:9, მაგრამ მოპოვებული უპირატესობა ვერ შეინარჩუნეს.

**ვ. არაქელოვი.**



თბილისს. ბაქოსა და ერევნის მხატვრულ ტანმოვარჯიშეთა ამასწინანდელ საქალაქთაშორისო ასპარეზობაში წარმატებით გამოვიდა ჩვენი დედაქალაქის წარმომადგენელი ლ. ლაპტევა, რომელმაც პირად პირველობაში III ადგილი დაიკავა.
სურათზე: ლ. ლაპტევა ასპარეზობის დროს.
ფოტო ი. იუნაევისა.

### ხვალ

საქართველოს დოსააფის რესპუბლიკური კომიტეტი და საქართველოს ავტო-მოტოსპორტის ფედერაცია ვაკე — საბურთალოს გზატკეცილზე ატარებენ **საავტომობილო რკალურ რბოლას „სეზონის დახურვის პრიზზე“.**

შეჯიბრებაში გამოვლენ სსრ კავშირის ჩემპიონები და პრიზიორები ი. პოლტორაცკი, ვ. გლურჯიძე, ი. ვარდპატრიკოვი, შ. მამრიკიშვილი, თ. ზახაროვი და სხვ. გამარჯვებისთვის იბრძოლებენ, აგრეთვე, აზერბაიჯანისა და სომხეთის საუკეთესო ავტომობილისტები.

დასაწყისი 11 ს.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

## თბილისის სპორტულ ბაზებზე

**ფეხბურთი.** არმიის სპორტული კლუბის სტადიონი (შაუმიანის ქ. № 57). 25 დეკემბერი. სპორტის დამსახურებული ოსტატის ვ. მარღანიას ხსოვნისადმი მიძღვნილი თასის გათამაშების ფინალი. დასაწყისი 13 ს.

**ფარიკაობა.** ვ. ი. ლენინის სახელობის სპორტდარბაზი (კონსტიტუციის ქ. № 6). 25 დეკემბერი. სპორტის ოსტატ მ. ადეიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი უძლიერეს მოფარიკავეთა ტურნირი. დასაწყისი 12 ს.

### 26 დეკემბერს

შედგება საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნას“ თბილისის განყოფილებისა და საქართველოს სპორტკავშირის პროპაგანდის ფედერაციის ინტერნაციონალური აღზრდის სახალხო უნივერსიტეტის მორიგი მეცადინეობა.

ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფ. დ. მაისურაძე წაიკითხავს ლექციას — „საბჭოთა კავშირის ხალხთა კულტურული თანამეგობრობა“.

დასაწყისი 17 ს. და 30 წ.

ИНДЕКС 66448 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 12912